მდგრადი განვითარების მიზნები და განათლება მდგრადი განვითარებისათვის

მაია ბლიაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი,
გეოგრაფიის დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

„ ჩვენ არ გვერგო დედამიწა წინაპრებისგან, არამედ მხოლოდ ვისესხეთ ის ჩვენი შვილებისგან“.

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

როგორ ყალიბდებოდა მდგრადი განვითარების კონცეფცია?



მდგრადი განვითარების კონცეფცია

ცნება „მდგრადი განვითარება“ პირველად 1987 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კომისიის ანგარიშში იქნა მოხსენიებული. მოხსენება შეიცავდა მდგრადი განვითარების განსაზღვრებას, რომელიც შემდეგი 25 წლის მანძილზე გამოიყენებოდა.

განვითარება, რომელიც პასუხობს ახლანდელი თაობის მოთხოვნილებებს ისე, რომ ზიანს არ აყენებს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები.

ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მომავალი თაობების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

მდგრადი განვითარების 3 მიმართულება



რა არის მდგრადი განვითარება?

- ამრიგად, მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთ სისტემას გულისხმობს, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი;

ათასწლეულის მიზნები

- 2000 წლის სექტემბერში მსოფლიოს ისტორიაში ქვეყნების მეთაურების ყველაზე დიდ შეხვედრაზე მიღებული იქნა „გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია “, რომლის მიზნების შესრულება დასახული იყო 2015 წლამდე პერიოდისთვის.
- მას „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ ეწოდა და 8 პუნქტს მოიცავდა.



ათასწლეულის მიზნებიდან მდგრადი განვითარების მიზნებამდე

ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDGs)

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)

რატომ დადგა დღის წესრიგში მდგრადი განვითარების მიზნები?

- 2015 წელს დასრულდა ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის 15-წლიანი ციკლი და მსოფლიო დადგა განვითარების ახალი გამოწვევების განსაზღვრისა და ახალი მიზნების შემუშავების ამოცანის წინაშე.
- მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივმა ძალისხმევამ და თანამშრომლობამ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში ნათლად აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ერთიანი გლობალური დღის წესრიგის არსებობა დღეს მსოფლიოში არსებულ ისეთ გამოწვევებთან, როგორიცაა მაგალითად სიღარიბის აღმოფხვრა.
- მსოფლიომ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია 15 წლის მანძილზე, მაგრამ განვითარების ძირითადი გამოწვევების გლობალური დაძლევა კვლავაც აქტუალურია.

რატომ დადგა დღის წესრიგში მდგრადი განვითარების მიზნები?

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი გლობალურ დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებს 2015 წლის შემდეგ.
- მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანაა, გააგრძელოს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიერ დაწყებული საქმე.
- მანამდე გაერომ მსოფლიოს მოსახლეობაში მათთვის პრიორიტეული საკითხების დასადგენად ჩაატარა გლობალური გამოკითხვა - „ ჩემი მსოფლიო“;
- გამოკითხვაში მონაწილეობა 7 მლნ ადამიანმა მიიღო, რომელთა 75% -ის ასაკი 30 წლამდე იყო.

მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა

- გაეროს წევრმა ქვეყნებმა 2015 წლის 25-27 სექტემბერს ნიუ-იორკში (აშშ) გამართულ მდგრადი განვითარების სამიტზე მიიღეს მდგრადი განვითარების მიზნები.
- გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“.
- მდგრადი განვითარების ახალი სამოქმედო გეგმა 17 მიზანს და 169 ამოცანას მოიცავს.

მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა

- აღნიშნული შეთანხმების თანახმად, თითოეულმა ქვეყანამ შემდეგი 15 წლის განმავლობაში უნდა გაატაროს რეფორმები მდგრადი განვითარების 17 მიზანის შესასრულებლად.
- მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას ყველა მიზნის ერთობლიობის მიმართ.
- გაეროს განვითარების პროგრამას საუკეთესოდ შეუძლია ამ პროცესის მხარდაჭერა.
- მიზნების შესრულების შეფასებას ყოველწლიურად ახორციელებს მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარების შესახებ.

რა არის მდგრადი განვითარების მიზნები?

- მდგრადი განვითარების ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.
- მდგრადი განვითარების მიზნებს არა აქვთ სავალდებულო იურიდიული ძალა, თუმცა არსებობს იმის მოლოდინი, რომ ქვეყნები აიღებენ პასუხისმგებლობას და შექმნიან ეროვნულ მექანიზმებს ამ მიზნების მისაღწევად;

THE GLOBAL GOALS
For Sustainable Development

რა არის მდგრადი განვითარების მიზნები?

- მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური ბუნებისაა და ამავე დროს უნივერსალური გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და, ამავე დროს, პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს.
- ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან - მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს.
- მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისათვის გლობალური მასშტაბით მსოფლიო შიდა პროდუქტის 1.5-2.5%-ის ინვესტირებაა საჭირო.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება მრავალმხრივი პროცესია და მასში ჩართულია:

- ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- საერთაშორისო ინსტიტუტები
- სამოქალაქო საზოგადოება
- ბიზნესი
- განათლება
- მედია

ვიდეო: https://www.youtube.com/watch?v=ejKehbmlhuY

მიზნების პირამიდა

მდგრადი განვითარების მიზნები



Activate Windows
Go to Settings to activate Windows.

გზა მდგრადი განვითარებისკენ

- ძლიერი მმართველობა
- ეკონომიკური განვითარება
- გარემოს დაცვა
- ადამიანის უფლებები/უსაფრთხოება
- ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები
- განათლება მდგრადი განვითარებისთვის

საქართველო და მდგრადი განვითარების მიზნები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის და პრიორიტეტიზაცია 2015 წლიდან დაიწყო. გაეროს მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და 98 ამოცანა ეროვნულ პრიორიტეტად განისაზღვრა.

გლობალური და ეროვნული მონაცემები



98 ამოცანა

- 18 საქართველოსთვის მისადაგებული
- 5 დამატებითი

204 ინდიკატორი

- 24 საქართველოსთვის მისადაგებული
- 47 დამატებითი
- საბაზისო მონაცემები არ მოიპოვება 18 ინდიაკატორზე

Activate Windows
Go to Settings to activate Windows.

https://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list/

რომელი ქვეყანა როგორ ასრულებს მიზნებს?

- მსოფლიოს ქვეყნები მდგარდი განვითარების მიზნების შესრულების მიხედვით -
- https://dashboards.sdgindex.org/map/goals/SDG1

რესურსები

- მდგრადი განვითარების მიზნები - https://eu.edu.ge/sites/default/files/2022-05/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf
- განათლება მდგრადი განვითარებისათვის - https://edu.aris.ge/news/wp-content/uploads/2022/01/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf
- https://edu.aris.ge/news/wamyvani-da-mentori-maswavleblis-sagamocdo-literatura.html
- განათლება მდგრადი განვითარებისათვის - ეკოკლუბის გზამკვლევი - http://forestry.ge/public/uploads/other/2021-02-11/68614.pdf
- გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება - http://tpdc.ge/geo/publication-1/191
- https://www.ecolog.online/

მადლობა ყურადღებისთვის!